ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7348367

ნომერი: AR11073357

თარიღი : 13.01.2025

გაცემის თარიღი : 17.01.2025

გაცნობის თარიღი : 17.01.2025

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ომარ ხიზანიშვილის ქუჩა , N 39;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქეთევანი ხუციშვილი პ/ნ 01005011077
- თბილისი კოსტავას ქ. 71ა

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ: საპროექტო მიწის ნაკვეთზე ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ შესაბამისად ვრცელდება საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 1 (სსზ-1). ვინაიდან მოთხოვნის ტექსტიდან ირკვევა, რომ იგეგმება მსუბუქი კონსტრუქციის სავაჭრო "ჯიხური" მოწყობა, ხოლო „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების მე–16 მუხლისა და დანართის მიხედვით, თქვენს მიერ მითითებული ფუნქცია (სავაჭრო ჯიხური) არ შედის დასაშვებ სახეობათა ნუსხაში და შედის სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დაშვებულ სახეობათა ნუსხაში, რომელიც საჭიროებს სპეციალურ ზონალურ შეთანხმებას, რისთვისაც პირველ რიგში უნდა მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს, ხოლო დადებითი პასუხის შემდგომ მომართოთ არქიტექტურის სამსახურს.

ამ ეტაპზე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.